საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6834
11/11/2022

6834-21-2-202211111112

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5847 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წანაშში მდ. ხელედულას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი GPS კოორდინატები (X – 4740376.21820365; Y – 309842.737751339. X - 4740389.48676038; Y - 310423.906207113) და ტერიტორიის shp ფაილები ურთიერთშეუსაბამოა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ჭალის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე 1 130 მ სიგრძის მქონე დამბის მოწყობა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული (როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა) დამბის სიგრძე;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მდ. ხელედულაში გავრცელებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე (განსაკუთრებით თევზებზე), პროექტის განხორციელებით მასზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებზე;
- გაცნობებთ, რომ მთლიანი **43 255 მ²** ფართობიდან (Shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **268 მ²** წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ლენტეხის სატყეო უბნის ლენტეხის სატყეოში, კვარტალი N48, ლიტერი N4. როგორც თქვენთვის ცნობილია, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული **საქმიანობა** ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
- დოკუმენტში (გვ. 4) მითითებულია, რომ „სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში“. ხოლო, სკრინინგის განცხადების 5-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „სამეურნეო-ფეკალური წყლებისთვის, მოეწყობა ბიო ტუალეტი,

ან დასაქმებულებს მშენებელ-კონტრაქტორის მიერ ნაქირავები ან/და კერძო საკუთრებაში არსებული საოფისე-საცხოვრებელი სახლების ტუალეტები მოემსახურება“. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო